

## შედეგი:

საბაჟო კანონმდებლობის და პროცედურების ჰარმონიზაცია ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობას ვინაიდან ექსპორტის და იმპორტის შემთხვევაში კომპანიებს აღარ შეხვდებათ მათთვის უცნობი სამართლებრივი გარემო.

გარდა ამისა, ხელი შეეწყობა ინვესტიციების შემოდინებას ევროკავშირის ქვეყნებიდან და ეს განსაკუთრებით ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორს ეხება, ვინაიდან ამ სექტორში მოქმედი ევროპული კომპანიები ოპერირებენ ევრორეგულაციებზე მორგებული ბიზნეს-პროცესებით. შესაბამისად საქართველოს ბაზარზე, რომელიც გეოპოლიტიკურად ისედაც საინტერესოა, მათთვის კარგად ნაცნობი ბიზნეს გარემო შეიქმნება.

ზოგადად პროცედურული ჰარმონიზაცია ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობას, განსაკუთრებით ინფორმაციის გაცვლის და პროცედურების ურთიერთ-აღიარების ნაწილში.



EU-GEORGIA  
BUSINESS COUNCIL

**ბროშურა მომზადებულია ევროკავშირი—  
საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) მიერ  
ევროკავშირის მხარდაჭერით.**



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

**პუბლიკაციის შინაარსზე  
პასუხისმგებელია ევროკავშირი—საქართველოს  
ბიზნესსაბჭო და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ  
უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.**

**ევროკავშირსა და საქართველოს  
შორის გაფორმებული ასოცირების  
შეთანხმებით გათვალისწინებული  
საბაჟო რეგულაციები და პროცედურები**

ბონდო ბოლქვაძე

ექსპერტი საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობის  
საკითხებში

ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო  
ბანდუკელის ქ. 3, თბილისი 0108 საქართველო  
Tel: (+995 32) 2.24.21.14 / 15 / 16  
info@eugbc.net / www.eugbc.net

## ზოგადი მიმოხილვა:

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

DCFTA-ს იმპლემენტაციის პროცესში საქართველოს საბაჟო სისტემის ევროპული სტანდარტებით მოწყობა კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხია.

კერძოდ, DCFTA ადგენს მთელ რიგ ვალდებულებებს საქართველოს საბაჟო ადმინისტრაციის რეფორმირების მიზნით. ვალდებულებებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია საბაჟო კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

## საბაჟო კოდექსი:

შეთანხმების ძალაში შესვლიდან 4 წლის განმავლობაში საქართველომ უნდა შეიმუშაოს და მიიღოს ევროკავშირის საბჭოს 1992 წლის 12 ოქტომბრის რეგულაციით დამტკიცებული საბაჟო კოდექსის შესაბამისი კოდექსი. აღნიშნული გულისხმობს ასევე კანონქვემდებარე რეგულაციების შეიმუშავებასაც, რომ პრაქტიკულად დაინერგოს ევროკავშირის მსგავსი საბაჟო პროცედურები.

2011 წლიდან მოყოლებული საქართველოში არ არსებობს მოქმედი საბაჟო კოდექსი. საბაჟო სფეროს ძირითადი მარეგულირებელი საკანონმდებლო დოკუმენტია საგადასახადო კოდექსი, რომლის მე-10 კარი არეგულირებს საბაჟო ურთიერთობებს. გარდა ამისა უამრავი ვიწრო რეგულაცია გაფანტულია ფინანსთა მინისტრის სხვადასხვა ბრძანებაში და მთავრობის დადგენილებებში.

ევროკავშირთან ჰარმონიზებული საბაჟო კოდექსის შეიმუშავება დააბალანსებს კანონმდებლობას და ძირითადი ფუნდამენტური დებულებები თავს მოიცავს კანონში.

## ძირითადი საბაჟო რეგულაციები და პროცედურები, რომელიც მოითხოვს ევროკავშირთან ჰარმონიზებას:

➤ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესი შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი როგორც ევროკავშირის ისე ზოგადად მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებთან, რაც განსაზღვრულია „გენერალური შეთანხმებით ტარიფებსა და ვაჭრობაზე“ (GATT) და ამ შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმებით.

➤ დღეს არსებული საქონლის დეკლარირებისა და განბაჟების სქემა, რომელიც მოქმედებს საბაჟო გაფორმების ეკონომიკურ ზონებში (გეზი) არ შესაბამეა ევროკავშირის პრაქტიკას. ამ მიზნით აუცილებელი იქნება პროცედურების მოდიფიცირება ისე, რომ საქონლის დეკლარირების პროცესში გაიზარდოს იმპორტიორის პასუხისმგებლობა.

➤ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების კონცეფციის დანერგვა საქართველოში მოქმედი „ოქროს სია“-ს პროგრამის ნაცვლად.

➤ საბაჟო საწყობების მოწყობისა და ადმინისტრირების ევროკავშირში არსებული მიდგომები განსხვავებულია საქართველოს პრაქტიკისგან. კერძოდ, საბაჟო საწყობის გახსნისათვის აუცილებელი წინაპირობები როგორცაა ინფრასტრუქტურული მოწყობა და ტექნიკური აღჭურვა არ მოითხოვება ევროკავშირის პრაქტიკის თანახმად, თუმცა აუცილებელია საწყობში არსებული საქონლის შესაბამისი საბაჟო გადასახდელების ფინანსური გარანტიით უზრუნველყოფა.

➤ საბაჟო გაფორმების შემდგომი აუდიტი უკვე არსებობს საქართველოში, მაგრამ აუცილებელი იქნება ამ რგოლის გაძლიერება ისე, რომ საბაჟო კონტროლის ძირითადი ტვირთი მოდიოდეს სწორედ გაფორმების შემდგომ აუდიტზე. ეს გულისხმობს შესაბამის პროცედურულ ცვლილებებს საბაჟოს ადმინისტრაციის რეგულარულ საქმიანობაში. კერძოდ, ზოგიერთი სახის კონტროლი (ძირითადად საბუთების შემოწმება) გაუქმდება ან შესუსტდება განბაჟების პროცესში და განხორციელდება საქონლის გაშვების (განბაჟების) შემდეგ.